# კეთროვნის განკურნება

**მითითებები:** ეს სავარჯიშო მშვიდ გარემოში გააკეთე. ბიბლიური მუხლების კითხვისას წარმოიდგინე, რომ მოვლენები შენ თვალწინ ვითარდება. რას ხედავ? რა გესმის? რას იგრძნობდი მოქმედ პირთა ადგილზე?

**მოქმედი პირები:** ნაამანი, ელისე და ისრაელი გოგონა, რომლის სახელიც უცნობია.

**მოკლე მიმოხილვა:** სირიის მხედართმთავარი ნაამანი საშინელი დაავადებისგან მას შემდეგ განიკურნა, რაც ისრაელმა გოგონამ ელისეს ნახვა ურჩია.

## ❶ *წარმოიდგინე, რა გარემოში ვითარდება მოვლენები. წაიკითხე 2 მეფეების 5:1—19.*

რა გრძნობებთან მოუწევდა ბრძოლა ისრაელ გოგონას, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ის ღვთისმოშიშ ოჯახს იყო მოწყვეტილი? ______________________________

______________________________

______________________________

რატომ გაბრაზდა ნაამანი, ძლევამოსილი კაცი, რომელსაც მძიმე დაავადება ჰქონდა? ______

______________________________

რა ემოციების დანახვა შეიძლება მე-11—13 მუხლებში ჩაწერილი ნაამანისა და მისი მსახურების საუბრიდან? ______________________________

______________________________

როგორ შეიცვალა ნაამანმა თვალსაზრისი, რაც მე-15 მუხლის დასაწყისში ჩანს? ______

______________________________

## ❷ *გამოიკვლიე*

შენი აზრით, რატომ იყო ნაამანი ამაყი ადამიანი? (*კიდევ ერთხელ წაიკითხე 1-ლი მუხლი*).

______________________________

______________________________

დამატებითი მასალის გამოყენებით უფრო მეტი გაიგე ბიბლიურ დროში არსებულ კეთრზე.* (მაგალითად, რამდენად სერიოზული იყო ეს დაავადება? იყო თუ არა გადამდები? როგორ მკურნალობდნენ კეთროვნებს?) ______________________________

______________________________

* კანის დაავადებაში, რომელიც ბიბლიურ დროში კეთრის სახელით იყო ცნობილი, ის დაავადებაც შედიოდა, რაც დღეს ჰანზენის დაავადებით არის ცნობილი.

შენი აზრით, როგორ იმოქმედებდა პატარა ისრაელ გოგონაზე ნაამანის განკურნება?

რა მხრივ იქნებოდა ნაამანისთვის გამოცდა ელისეს პასუხი? (იხილე მუხლი 10).

**③ მოიქეცი ნასწავლის შესაბამისად. ჩამოწერე, რაც ისწავლე . . .**

სიამაყის საშიშროებაზე.

შენი რწმენის შესახებ გაბედულად ლაპარაკზე.

იეჰოვაზე, რომელსაც დაავადებების განკურნების ძალა აქვს.

**④ რა იყო შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ბიბლიური მონაკვეთიდან, და რატომ?**



www.jw.org © 2010 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania